

32001L0040

## საბჭოს 2001 წლის 28 მაისის დირექტივა 2001/40/EC

### მესამე ქვეყნის მოქალაქეების გაძევების გადაწყვეტილების ორმხრივი აღიარების შესახებ

*ოფიციალური ჟურნალი L 149, 02/06/2001 P. 0034- 0036*

საბჭოს 2001 წლის 28 მაისის დირექტივა 2001/40/EC

მესამე ქვეყნის მოქალაქეების გაძევების გადაწყვეტილების ორმხრივი აღიარების შესახებ ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების, კერძოდ, მისი 63-ე მუხლის მე-3 პუნქტს,

ითვალისწინებს რა, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივას (1),

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტის მოსაზრებას (2)

ვინაიდან:

(1) ხელშეკრულების თანახმად, საბჭომ წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და ბინადრობის პირობებსა და ასევე, არაოფიციალურ იმიგრაციასა და ბინადრობასთან მიმართებით საიმიგრაციო პოლიტიკის ზომები უნდა მიიღოს.

(2) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს ტამპერეში გამართულ სხდომაზე, ევროპის საბჭომ კვლავ დაადასტურა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის შექმნის მიზანი. შესაბამისად, საერთო ევროპული პოლიტიკა თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამართლიან მოპყრობას, ისე - მიგრაციის ნაკადების უკეთეს მართვას უნდა ისახავდეს მიზნად.

(3) გაძევების შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულების უფრო მეტი ეფექტურობისა და წვერი სახელმწიფოებს შორის უკეთესი თანამშრომლობის უზრუნველყოფის საჭიროება გაძევების გადაწყვეტილებების ორმხრივ აღიარებას ითვალისწინებს.

(4) მესამე ქვეყნის მოქალაქეთა გაძევების შესახებ გადაწყვეტილებები 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, განსაკუთრებით, მისი მე-3 და მე-8 მუხლებისა და 1951 წლის 28 ივლისის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებებისა და წვერი სახელმწიფოებისთვის საერთო საკონსტიტუციო პრინციპებიდან გამომდინარე უფლებების შესაბამისად უნდა იყოს მიღებული.

(5) სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად, შემოთავაზებული ქმედების მიზნის, კერძოდ, მესამე ქვეყნის მოქალაქეების გაძევების თაობაზე წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის მიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ სათანადოდ ვერ ხერხდება და, ამიტომ, მისი შედეგებიდან გამომდინარე, ამ მიზნის მიღწევა გაერთიანების მიერ უკეთესად არის შესაძლებელი. წინამდებარე დირექტივა ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ფარგლებს არ სცდება.

(6) გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, რომელიც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას თან ერთვის, 2000 წლის 18 ოქტომბრის წერილით გაერთიანებულმა სამეფომ განაცხადა, რომ წინამდებარე დირექტივის მიღებასა და გამოყენებაში მონაწილეობის მიღება სურს.

(7) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას თან ერთვის, დანია წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს და, შესაბამისად, არ არის ვალდებული ან დამოკიდებული მის გამოყენებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დირექტივის მიზანია შენგენის კანონმდებლობის გათვალისწინება ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების IV ნაწილის დებულებების შესაბამისად, ზემოაღნიშნული ოქმის მე-5 მუხლის თანახმად, საბჭოს მიერ ამ დირექტივის მიღებიდან 6 თვის ვადაში, დანია მიიღებს გადაწყვეტილებას, გადაიტანს თუ არა ამ გადაწყვეტილებას თავის ეროვნულ კანონმდებლობაში.

(8) რაც შეეხება ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს, წინამდებარე დირექტივა გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობიდან, ევროკავშირის საბჭოსა და ამ ორ სახელმწიფოს შორის 1999 წლის 18 მაისს დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში. ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პროცედურების შედეგად, წინამდებარე დირექტივიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები ასევე გამოიყენება ისლანდიის რესპუბლიკისა და ნორვეგიის სამეფოს მიმართაც და ამ ორ სახელმწიფოსა და ევროპული გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში.

იღებს შემდეგ დირექტივას:

## მუხლი 1

1. 1990 წლის 19 ივნისს შენგენში ხელმოწერილი 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის (შემდგომში - „შენგენის კონვენცია“) 23-ე მუხლიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე და მისი 96-ე მუხლის გამოყენებით, წინამდებარე დირექტივის მიზანია, შესაძლებელი გახადოს გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღიარება, რომელიც ერთ წევრ სახელმწიფოში კომპეტენტური ორგანოს მიერ (შემდგომში - „გამცემი წევრი სახელმწიფო“) სხვა წევრ სახელმწიფოში (შემდგომში - „განმახორციელებელი წევრი სახელმწიფო“) მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ არის გაცემული.

2. 1-ელი პუნქტის თანახმად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.

3. წინამდებარე დირექტივა არ ეხება კავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრებს, რომლებიც თავისუფალი გადაადგილების უფლებით სარგებლობდნენ.

## მუხლი 2

ამ დირექტივის მიზნებისათვის:

(ა) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც არცერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე არ არის;

(ბ) „გაძევების გადაწყვეტილება“ გულისხმობს გამცემი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილებას გაძევების ბრძანების შესახებ;

(გ) „იძულებითი ზომა“ გულისხმობს გაძევების შესახებ გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ ნებისმიერი სახის ზომას.

## მუხლი 3

1. 1-ელ მუხლში აღნიშნული გაძევება გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

(ა) მესამე ქვეყნის მოქალაქე ექვემდებარება გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას, როცა არსებობს საფუძველი, რომ იგი საზოგადოებრივ წესრიგს ან სახელმწიფო უსაფრთხოებას სერიოზულ და რეალურ საფრთხეს უქმნის და რომელიც მიღებულია შემდეგ შემთხვევებში:

- გადაწყვეტილების გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის გასამართლება დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახით არანაკლებ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს,

- სერიოზული საფუძველის არსებობა, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეს ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ან მყარი მტკიცებულების არსებობა, როცა მას განზრახული აქვს მძიმე დანაშაულის ჩადენა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

შენგენის კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გარეშე, თუ კონკრეტულ პიროვნებას განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს ან სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვა აქვს, განმახორციელებელი

წევრი სახელმწიფო გადაწყვეტილების გამცემ წევრ სახელმწიფოსა და ბინადრობის ნებართვის გამცემ სახელმწიფოს მიმართავს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გადაწყვეტილების არსებობა ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევას, თუ ნებართვის გამცემი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით არის ნებადართული;

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქე გამგებების შესახებ გადაწყვეტილებას ექვემდებარება, თუ ქვეყანაში შესვლის ან ბინადრობის ეროვნულ წესებს არ იცავს.

„ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში, გამცემ წევრ სახელმწიფოს გამგებების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ან შეჩერება არ უნდა მოეხდინა.

2. წევრი სახელმწიფოები ამ დირექტივას ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დაცვით იყენებენ.

3. წინამდებარე დირექტივის გამოყენება ევროგაერთიანების ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში შეტანილი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის შესახებ კონვენციისა და წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული რეადმისიის შესახებ შეთანხმებების დებულებებს ზიანს არ აყენებს.

#### მუხლი 4

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მესამე ქვეყნის აღნიშნულ მოქალაქეებს, სამართლებრივი დაცვის მიზნით, 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მათ წინააღმდეგ მიღებული ნებისმიერი ზომა განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჩივრება შეეძლოთ.

#### მუხლი 5

პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივის შესაბამისად (3) უნდა მოხდეს.

შენგენის კონვენციის 101-ე და 102-ე მუხლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტები მხოლოდ ამ დირექტივაში გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოიყენება.

#### მუხლი 6

ამ დირექტივის განხორციელებისათვის, გადაწყვეტილების გამცემი წევრი სახელმწიფოსა და განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს ორგანოები ეფექტური თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლისთვის საჭირო ყველა სათანადო საშუალებას იყენებენ.

გამცემი წევრი სახელმწიფო განმახორციელებელ წევრ სახელმწიფოს მიაწვდის ყველა დოკუმენტს, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულების დასადასტურებლად ყველაზე სწრაფი შესაბამისი საშუალებებით, საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის სისტემის (SIRENE) სახელმძღვანელოს შესაბამისი დებულებების მიხედვით არის საჭირო.

განმახორციელებელი წევრი სახელმწიფო თავდაპირველად შეისწავლის კონკრეტულ პირთან დაკავშირებულ მდგომარეობას, რათა დარწმუნდეს, რომ გამკვების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება არსებულ შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებსა თუ ეროვნულ წესებს არ ეწინააღმდეგება.

იძულებითი ზომის განხორციელების შემდეგ, განმახორციელებელი წევრი სახელმწიფო გადაწყვეტილების გამცემ წევრ სახელმწიფოს აღნიშნულის შესახებ აცნობებს.

## მუხლი 7

ისეთი შემთხვევის დროს, როცა გამკვების პროცედურა მესამე ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეების ხარჯებით ვერ ხორციელდება, წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს ამ დირექტივის გამოყენების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის ფინანსურ დისბალანსს აუნაზღაურებენ.

ამ მუხლის განხორციელების მიზნით, კომისიის წინადადების საფუძველზე, საბჭო შესაბამის კრიტერიუმებსა და პრაქტიკულ ზომებს 2002 წლის 2 დეკემბრამდე მიიღებს. აღნიშნული კრიტერიუმები და პრაქტიკული ზომები შენგენის კონვენციის 24-ე მუხლთან მიმართებითაც გამოიყენება.

## მუხლი 8

1. 2002 წლის 2 დეკემბრამდე წევრი სახელმწიფოები აამოქმედებენ იმ კანონებს, ნორმატიულ და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც წინამდებარე დირექტივის შესასრულებლად არის საჭირო. ამის შესახებ ისინი დაუყონებლივ აცნობებენ კომისიას.

წევრი სახელმწიფოების მიერ ასეთი დებულებების მიღებისას, მათში კეთდება მითითება წინამდებარე დირექტივაზე ან, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების

შემთხვევაში, ასეთი მითითება თან ერთვის. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, თუ როგორ გაკეთდეს ეს მითითება.

2. წევრი სახელმწიფოები კომისიას უზავნიან ეროვნული კანონის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომელთა მიღებაც ხდება იმ სფეროში, რომელსაც წინამდებარე დირექტივა მოიცავს.

#### მუხლი 9

წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან შედის ძალაში.

#### მუხლი 10

წინამდებარე დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები, ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

შესრულებულია ბრიუსელში, 2001 წლის 28 მაისს.

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი ტ. ბოდსტრომი

(1) OJ C 243, 24.8.2000, გვ. 1.

(2) 2001 წლის 13 მარტის მოსაზრება (ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული ჯერ არ არის).

(3) OJ L 281, 23.11.1995, გვ. 31.